სასამართლოში გასაჩივრება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ადმინისტრაციული სამართლის საქმესთან დაკავშირებით ასეთი შეზღუდვა არ არსებობს.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საკასაციო საჩივარი დასაშვებია მიუხედავად სარჩელის ფასისა.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე.

როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ:

- საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის
- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან
- სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე

საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სააპელაციო სასამართლოში.

## სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

სასამართლო გადაწყვეტილებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის.

სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

სასამართლოს ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა ხდება მისი კანონიერ ძალაში შესვლის

შემდეგ. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდე-საც გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს.

სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

www.hcoj.gov.ge

Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

German Technical Cooperstion

GTZ-Office Tbilisi 41,Shartava Str,
0146, Tbilisi Georgia

gtz

- ალიმენტის მიკუთვნების შესახებ
- დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ
- მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ
- უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;
- თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები
- ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა ევალება ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

სააღსრულებო ფურცლები უნდა ამოიწეროს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, დაინტერესებული პირის (კრედიტორის) მოთხოვნიდან არა უგვიანეს 3 დღისა. იმ საქმეებზე, რომელთა შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება, სააღსრულებო ფურცელი ამოიწერება გადაწყვეტილების დადგენის დღესვე.

სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში სასამართლო, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, კრედიტორის განცხადების საფუძველზე გასცემს მის დუბლიკატს.

Herausgeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების **GTZ** ფინანსური მხარდაჭერით

2008©

# სასამართლო გადაწყვეტილება და მისი გასაჩივრება



სასამართლო გადაწყვეტილება და მისი კანონიერ ძალაში შესვლა. სასამართლო გადაწყვეტილების მიღება და მისი გასაჩივრების წესი. როგორ უნდა აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება.



www.hcoj.gov.ge

E-mail council@hcoj.gov.ge

## სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადება და მხარეთათვის გადაცემა

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმის არსებითად განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე – განაჩენი. მოთხოვნის საფუძველზე.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმის განხილვის დასრულების შემდეგ მოსამართლე აცხადებს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს, რაც შეიცავს სასამართლოს დასკვნას განხილულ საქმესთან დაკავშირებით და განმარტავს მისი გასაჩივრების წესსა და ვადას.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ეთანხმებიან გადაწყვეტილებას და უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, მათ შეუძლიათ მოითხოვონ გადაწყვეტილების მიღება დასაბუთების გარეშე, რაც უნდა დაადასტურონ თავიანთი ხელმოწერებით.

დასაბუთებულ გადაწყვეტილებას სასამართლო ამზადებს სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში (გამონაკლისია საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელსაც 1 თვიანი ვადა აქვს). გადაწყვეტილების მისაღებად მხარემ განცხადებით უნდა მიმართოს სასამართლოს. გადაწყვეტილების ასლები გაიცემა არა უგვიანეს 3 დღის ვადაში.

დასაბუთებულ გადაწყვეტილებას სასამართლო ამზადებს სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში (გამონაკლისია საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელსაც 1 თვიანი ვადა აქვს). გადაწყვეტილების მისაღებად მხარემ განცხადებით უნდა მიმართოს სასამართლოს. გადაწყვეტილების ასლები გაიცემა არა უგვიანეს 3 დღის ვადაში.

## სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის

- გამოცხადებისთანავე, თუ მისი სააპელაციო წესით გასაჩივრება კანონით დაუშვებელია
- თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის გასაჩივრებაზე
- გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ (14 დღე), როდესაც მისი გასაჩივრება დასაშვებია, მაგრამ არ გასაჩივრებულა
- სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

- თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის (1 თვე) გასვლის შემდეგ
- თუ იგი გასაჩივრდა, კანონიერ ძალაში შედის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შემდეგ, თუ მან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა
- თუ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე, კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე. სისხლის სამართლის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი (დადგენილება), სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი (განჩინება), ასევე

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალაში შედის სასამართლოს მიერ მისი მიღებისთანავე.

www.hcoj.gov.ge

E-mail council@hcoj.gov.ge

## როგორ გავასაჩივროთ სასამართლოს გადაწყვეტილებები

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენი) საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში, კერძოდ:

- დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენი) – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში,
- აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენი) – თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების), განაჩენის გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სისხლის სამართლის საქმეზე მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში. ასევე ერთი თვის ვადაშია შესაძლებელი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების), განაჩენის გასაჩივრება უზენაეს სასამართლოში.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სააპელაციო საჩივრის შეტანა შეიძლება 14 დღის ვადაში, ხოლო საკასაციო საჩივრისა – 1 თვის ვადაში მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. თუ მხარე ესწრება დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას, საჩივრის შეტანის ვადა იწყება გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში.

სამოქალაქო სამართლის საქმეზე, რომელიც ეხება ქონებრივ-სამართლებრივ დავას, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო